კონცეფცია

საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“

სასწავლო კუსის მიზანი: მოსწავლეთა საარჩევნო კულტურის განვითარების ხელშეწყობა.

სასწავლო კურსის შინაარსი: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა; არჩევნები და დემოკრატია; საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველი; არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები.

სასწავლო კურსის შედეგი: არჩევნების არსისა და ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის გააზრება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში.

სწავლების მეთოდოლოგია: „კეთებით სწავლების“ პრინციპი, რომელიც მოიცავს დისკუსიებს, სხვადასხვა ჯგუფურ სავარჯიშოებსა და ხმის მიცემის პროცესის სიმულაციას.

სამიზნე ჯგუფი: საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის XI-XII კლასის მოსწავლეები.

სასწავლო კურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

სასწავლო კურსის ხანგძლივობა: ოთხი სასწავლო დღე (დღეში 35 წუთი).

დღე	თემატიკა	სწავლების შედეგი
I - არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა	არჩევითი სახელმწიფო ორგანოები და არჩევნების ისტორია საქართველოში	მოსწავლეებს ეცოდინებათ: ▪ რომელი ორგანოებია საქართველოში არჩევითი და რა საარჩევნო სისტემებით ხდება არჩევა; ▪ საქართველოში დემოკრატიული არჩევნების განვითარების ისტორია 1918 წლიდან დღემდე.
	პრაქტიკული სავარჯიშო - „როგორ ვირჩევთ“	მოსწავლეები გაიაზრებენ საქართველოში მოქმედი საარჩევნო სისტემის დანიშნულებას და ამომრჩეველთა ხმების (ბიულეტენების) მანდატებში ასახვას.
II- არჩევნები და დემოკრატია	არჩევნების ჩატარების პრინციპები	მოსწავლეებს ეცოდინებათ: ▪ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების პრინციპები; ▪ გენდერული თანასწორობის არსი საარჩევნო პროცესში; ▪ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების რაობა და საარჩევნო ცენზები.
	პრაქტიკული სავარჯიშო - „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლი“	მოსწავლეებს ეცოდინებათ საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობით გარანტირებული ძირითადი პოლიტიკური უფლებების შესახებ.

III- საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველი	საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო პროცესის ორგანიზება და ამომრჩევლის მონაწილეობა არჩევნებში	მოსწავლეებს ეცოდინებათ: ▪ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის როლი არჩევნების ორგანიზებისა და მართვის პროცესში; ▪ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული თანამედროვე საარჩევნო სერვისები; ▪ პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები; ▪ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემა და დათვლა (საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს გამოცდილების გაზიარება).
	პრაქტიკული სავარჯიშო - „მე ინფორმირებული ამომრჩეველი ვარ“	მოსწავლეები გაიაზრებენ ამომრჩევლის როლის მნიშვნელობას დემოკრატიულ არჩევნებში, მონაწილეობას მიიღებენ იმიტირებულ ხმის მიცემის პროცესში.
IV - არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები	არჩევნებში ჩართული მხარეების როლი და უფლებრივი მდგომარეობა საარჩევნო პროცესში	მოსწავლეები გაიაზრებენ საარჩევნო სუბიექტების, დამკვირვებლების, მედიის როლის მნიშვნელობას საარჩევნო პროცესში და გაეცნობიან არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად ჩართული მხარეების საქმიანობის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებს.
	პრაქტიკული სავარჯიშო - „ვეთანხმები - არ ვეთანხმები“	მოსწავლეები იმიტირებული დებატების ფორმატში მოირგებენ კანდიდატების როლს, გაითავისებენ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებულად ჩამოყალიბების მნიშვნელობას, საპირისპირო მოსაზრებების მოსმენისა და პატივისცემის აუცილებლობას.